

## დისკრეზიტული უფლებამოსილების პრინციპითა მართვის პიროვნეულ სისტემაში

### DISCRETIONARY POWERS PRINCIPLES BUREAUCRATIC MANAGEMENT SYSTEM

ხატია გორგილაძე

საჯარო სამართლის მაგისტრი

KHATIA GORGILADZDE

Master of public law

#### ანოტაცია

სტატიაში განხილულია მართვის ბიუროკრატიული სისტემის არხი და მნიშვნელობა, მისი დადგებითი ეფექტები. განხილულია ბიუროკრატიული სისტემის ვებერისტული შეხედულებები იმის თაობაზე, რომ ბიუროკრატიული სისტემა წარმოადგენს მართვის უნივერსალურ პრინციპებს. ასევე გამახილებულია ყურადღება იმ საინტერესო მიმართულებაზე, რომ მართვის სისტემურობისა და დადგენილი წესების მიუხედავად ბიუროკრატიას ახასიათებს ე.წ. „გაურკვეველი ზონა“, ანუ დისკრეზიტული უფლებამოსილება, რაც გადაწყვეტილების მიღებას (მმართველობას) აძლევს იმ აღტერნატივის საშუალებას, რაც ყველაზე უფრო მისაღებია. მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დისკრეზიტული უფლებამოსილება სახელისუფლებო ურთიერთობების ფუნქციონირების უნივერსალურ პრინციპს წარმოადგენს. მხოლოდ მაშინ როცა მმართველის მიერ მიღებული არჩევანი გამომდინარეობს საჯარო ინტერესებიდან.

**საკვანძო სიტყვები:** დისკრეზიტული უფლებამოსილება, ბიუროკრატია, იურისტიული სისტემა, საჯარო ინტერესი, უფლებამოსილი ორგანიზაცია

#### Abstract

The article deals with the management of the bureaucratic system of the essence and meaning, Its positive effects. Webber's bureaucratic system is discussed in view of The bureaucratic system of management of the universal principles.

Also, Attention is drawn to the interesting aspects of the The management and systematic set of rules regardless of the bureaucracy is characterized by the so-called, "Uncertain zone" or discretionary powers. As a decision-maker (the manager) to the alternative method, Which are more convenient. Views on, That the discretionary power of the universal principle of operation of the power relationship. Only when the manager's choice is due to the public interest.

**Keywords:** Discretionary powers, Bureaucracy, Hierarchical system, The public interest, Responsible institution

20 საუკუნის დასაწყისში მაქს ვებერმა შეიმუშავა რაციონალური ბიუროკრატიის, როგორც თანამედროვე ორგანიზაციის მართვის ფუნდამენტალური კონცეფცია. აღნიშნული კონცეფცია დაუპირისპირდა პატრიარქალურ, შუასაუკუნოვან აღმინისტრაციას, სადაც რიგითი აღამიანისოვის შეუძლებელი იყო სამართლის მიება, არ არსებობდა საქმეების განხილვის ვადები, საქმისწარმოების სისტემურობა, არ იყო გამოიჯენული უფლებები თანამდებობრივ იერარქიებს შორის, ბუნდოვანი იყო ქვეუწყებების საქმიანობა. მართალია, მართვის ბიუროკრატიული და მოხერხებული იყო. შესაძლებელი იყო სამართლის მიება, არ არსებობდა საქმეების განხილვის ვადები, საქმისწარმოების სისტემურობა, არ იყო გამოიჯენული უფლებები თანამდებობრივ იერარქიებს შორის, ბუნდოვანი იყო ქვეუწყებების საქმიანობა. მართალია, მართვის ბიუროკრატიული და მოხერხებული იყო. შესაძლებელი იყო პირადი კონტაქტის დამყარება ოფიციალურ პირებთან, რათა მოეგვარებინა თავისი პრობლემა. მათ შორის ყალიბდებოდა თბილი, მეგობრული ურთიერთობები. მაგრამ ასეთ ურთიერთობებში ნაკლოვანები უფრო მეტი იყო.

მაქს ვებერის ბიუროკრატიის თეორიამ მე-20 საუკუნეში დიდი გავლენა მოახდინა ზოგადად მართვის სისტემების განვითარებაზე. ბევრი მეცნიერი, მე-20 საუკუნის 40-50 წლებიდან ფორმალური ორგანიზაციების შესწავლისა და ემპირიული კვლევების განხორციელების დროს მიმართავდნენ ვებერის ბიუროკრატიის მოდელს.

ვებგრისეული რაციონალური ბიუროკრატიასიათდება როგორც ლეგალური ბატონობის (გავლენის)პროცესი. ამ ტიპის ბატონობის განმასხვავებელი ელემენტს წარმოადგენს ფორმალური წესების სისტემის არსებობა,რომელიც არეგულირებს მართველის (ადმინისტრაციული) პერსონალის საქმიანობას. აღნიშნული ფორმალური წესები შესაძლოა შეიცვალოს მიღებული პროცედურების შესაბამისად. როგორც ვებგრი აღნიშნავდა „გადამწყვეტი ჩვენი ტერმინოლოგიისთვის არ ის რომ დამორჩილება ეხლა ეფუძნება არა რწმენას, ქარიზმატული ლიდერის ერთგულენას, გმირს და ა.შ., არამედ“ სამსახურეობრივ მოვალეობას,რომელიც განსაზღვრულია რაციონალურად დაწესებული ნორმებით (კანონებით, წესებით...). მაშასადამებარონობის ლეგიტიმურობა გამოიხატება საყოველთაო,კორექტულად ჩამოყალიბებული და აღიარებული წესებში”.

მ.ვებერმა გამოყო “იდეალური ტიპის”, ბიუროკრატიული მოდელის რამდენიმე თვისება:

შრომის მკაფიოდ გამოხატული დანაწილება,რაც უზრუნველყოფს თანამდებობაზე მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების გამოჩენას;

მართვის დონეების იერარქია,რომლის დროსაც ყოველი ქვედა დონე კონტროლდება ზე და დონის მიერ უქვემდებარება მას;

განზოგადებული ფორმალური წესებისა და სტანდარტების სისტემის შექმნა,არც უზრუნველყოფს თანამშრომელთა მიერ მოვალეობების შესრულების ერთგვაროგნებას და სხვადასხვა ამოცანის კორდინაციას;

თანამშრომელთა სამუშაოზე მიღება კვალიფიკაციურ მოთხოვნებთან მეცნიერებების პირობებში.მუშაკთა დაცვა სამუშაოდან თვითნებური განთავისუფლებისაგან;

საჯარო კანცელარიის არსებობა,სადაც მოთავსებულია ორგანიზაციის წერილობითი დოკუმენტი;

ადმინისტრაციული პირების მომზადების ოფიციალური პროცედურა. შტატიანი თანამშრომლების არსებობა,რომლებისათვის ორგანიზაციის სამუშაო წარმოადგენს მთავარ საქმიანობას (პროფსიული კომპეტენციაზე დამყარებული კარიერული ზრდა);

ერთიანი პოლიტიკა უფლება მოვალეობის სფეროში.დამორჩილება ფორმურ წესებს და არა პირს,რომელსაც გააჩნია ძალაუფლება;

ლოალობა დადგენილი წესების მიმართ.

ბიუროკრატიული ორგანიზაციები,რომლებიც მეტ-ნაკლებად უახლოვდებიან მართვის სრულყოფილ ტიპს, შესაძლებელია ვიპოვთ თანამედროვე საზოგადოების სხვადასხვა სფეროში: სახელმწიფო მართვის აპარატში,პოლიტიკურ პარტიებში, სასწავლო დაწესებულებებში,სამსახურო სფეროში და ა.შ.

ბიუროკრატიული განრცელება დაკავშირებულია უპირველესყოვლისა იმაზე,რომ ის არის

უფრო ეფექტური,ვიდრე ნებისმიერი მართვის სხვა ფორმა.ყველაფერი ეს ხდის ბიუროკრატიას შეუცვლელ ელემენტად თანამედროვე საზოგადოებაში.

ორგანიზაციის თანამედროვე ფორმების განვითარება, როგორც თვლის ვებგრი, პრაქტიკულად ემთხვევა ბიუროკრატიული მართვის განვითარებას.

განვითარების უპირატესობა სხვა მართვის ფორმებთან განისაზღვრება იმით, რომ ის გამოდის როგორც სპეციალური ცოდნის მატარებელი, რომელიც საჭიროა ნებისმიერი მსხვილი საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის.

მიუხედავად საყოველთაოდ მიღებული აზრისა,რომ ბიუროკრატია ექვემდებარება მხოლოდ დადგენილ წესებსა და ნორმებს, თანამედროვე ეტაპზე პრაქტიკამ ჩვენა და მეცნიერთა შეხედულებებიც ადასტურებს,რომ ბიუროკრატიულ სისტემას ახასიათებს ასევე უკვე ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული წესების არაფორმალურად,პირადი შეხედულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა. მიშელ [4.გ.9-15]. ბუროკრატიას განიხილავს, არამხოლოდ როგორც ორგანიზაციის სპეციფიკურ ნიშანს, არამედ სამუშაოს შესრულების აუცილებელ პირობას. მისი შეხედულებით ბიუროკრატია ეს არის სახემწიფო ორგანიზაციის ტიპი და საზოგადოებრივი ცხოვრების სტილი, რაც განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების დინამიურობასა და მოდერნიზაციის პროცესს. ორგანიზაციის ბიუროკრატიული სისტემის რაციონალური სისტემის დარღვევა ანუ დისფუნქციის განალიზებისათვის მიშელ კროზე გვთავაზობს დისტრეციული უფლებამოსილების ცნებას, რაც გულისხმობს, რომ ნებისმიერ ორგანიზაციას თავისი ფორმალური მმართველობის არსებობისათვის გააჩნია ე.წ „გაურკვეველობის ზონა“ რასაც როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ასევე მისი წევრები ხშირ შემთხვევაში იყენებენ საკუთარი თავისი რეალიზებისა და პირადი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის.

კროზე ე.წ „გაურკვეველობის ზონა“ ანუ დისკრეციულ უფლებამოსილებას მიაკუთვნებს:

ექსპერტულ ცოდნასა და გამოცდილებას; დამოკიდებულებებს და ურთიერთობებს ორგანიზაციაში;

კონტროლის ინფორმაციასა და საკომუნიკაციო ქსელზე;

საერთო და საორგანიზაციო წესებს;

დისკრეციული უფლებამოსილების მაგალითებია:

ხლმძღვანელის თანაშემწის უფლებამოსილება (საოველთაოდ აღიარებული მაღალი შესაძლებლები, სტატუსი და უნარი მოახდინოს გაფლენა ხელმძღვანელზე);

ავტორიტეტი და საუკეთესო რჩევის შესაძლებლებები, რითაც ხდება გავლენა მომუშავეებთან;

სამეცნიერო ორგანიზაციაში სიტუაციის განვითარებაზე ავტორიტეტის აკადემიური გავლენა.

დისკრეციული უფლებამოსილება ეს არის სახელისუფლო ურთიერთობების ფუნქციონირება.

ბის უნივერსალური პრინციპი.მთავრობა (სამინისტროები ქვედანაყოფები) დიდწილად საკუთარი შეხედულებებისამებრ იყენებენ მათ ხელთ არსებულ მთლიან რესურსს [3.გვ.,165].

თანამედროვე ეტაპზე, დისკრეციული უფლებამოსილება ქვემდებარება ოფიციალურად დადგენილ ხორმებს და მას განსაზღვრავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც დისკრეციულობა არის უფებამოსილება,რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თვითს უფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მისაღები გადაწყვეტილება.

დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება ემსახურება, პირველ რიგში, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზანს. ხშირ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო შესაძლო დონისძიებებიდან იყენებს იმას, რომელიც ნაკლები ზიანის მომტანია კონკრეტული პირისათვის და იდებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულ გადაწყვეტილებას ფაქტების ობიექტურად და ყურადღებით შესწავლის საფუძველზე.

დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საჯარო და კერძო ინტერესების პროცესიულობის პრინციპს.

ცალკე აღებული რომელიმე ინტერესისათვის უპირატესობის მინიჭება დაუშვებელია. საჯარო ინტერესებისგათვალისწინებით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებულ სიკეთეს, გამოყენებულ უნდა იქნას პირის კანონიერი უფლებისთვის ყველაზე

ნაკლები ზიანის მიმყენებელი საშუალება. არჩეულმა ღონისძიებამ არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა, ანუ მიზნის მიღწევის საშუალება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო არ უწევს ანგარიშს კანონმდებლის მიერ მისთვია მინიჭებული მოქმედების თავისუფალ სივრცეს, მის მიერ განხორციელებული მოქმედება უკანონოა და სახეზე გვაქვს შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, რომელიც ძირითადად სამ შემთხვევაში დგება:

ადმინისტრაციული ორგანო არ იყენებს მისთვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას, ის უშვებს შეცდომას და მის მიერ განხორციელებული ღონისძიება ხდება უკანონო;

ადმინისტრაციული ორგანო სცილდება მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებს და ახორციელებს ისეთი ღონისძიებას, რომელიც კანონით არ არის გათვალისწინებული. სახეზეა უკანონო მმართველობითი საქმიანობა;

ადმინისტრაციული ორგანო ანგარიშს არ უწევს კანონის მიზნებს და არ იყენებს მისთვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას იმ მიზნისთვის, რაც კანონმდებელმა მასში ჩადო. სახეზეა უკანონო მმართველობითი საქმიანობა-შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში [1.გვ., 3-9].

აქედან გამომდინარე, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომი-ერგება ხშირად წარმოადგენს საკამათო საკითხს ბიუროკრატიული აპარატში მართვის პროცესების განხორციელებასა და ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც საჯარო ინტერესებიდან გამომდინარეობს და ამავდროულად იცავს ფიზიკური პირის უფლებებს.

## ლიტერატურა/REFERENCES

- 1 რ. სულამანიძე, დისკრეციული უფლებამოსილება, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი. თბ., 2015;
- 2 Вебер М. Избранные произведения. М., 1990.с.1
- 3 Цветаева В.М. управление персоналом. Спб., 2002, с. 16
- 4 Кроэзе М. Современное государство - скромное государство. Свободная мысль. 1993. С. 9-15.
- 5 R. Sulamanidze, Discretionary power, Center for civil involvement Tb., 2015
- 6 Weber M. Selected works. M., 1990.с.12
- 7 Tsvetaeva V.M Staff management. St. Petersburg., 2002,с.165
- 8 Crozier M. The modern state is a modest state . Free thought. 1993. With. 9-15.